ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/13

შეკითხვა:
პირი მსჯავრდებულია 2010 წლიდან დაუსწრებლად მძიმე დანაშულისათვის. მას არ აუნაზღაურებია ზარალი არც ერთი დაზარალებულისათვის და, ასევე, არის ნასამართლეობის მქონე. სასამართლო და პარლამენტის კომიტეტები ცდილობენ აღნიშნულ პირს შეეხოს ამნისტია. ამით ირღვევა დაზარალებულის უფლებები.

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტი: „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.“

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლი განსაზღვრავს რეკომენდაციის არსს და საკითხებს, რომელზეც ეთიკის კომისია კომპეტენტურია გასცეს პასუხი. რეკომენდაცია შეიძლება იყოს:

1. ნორმის განმარტება.

2. მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

3. მოსაზრება კონკრეტული შესაძლო ქმედების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე.

41-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის სარეკომენდაციო საკითხებს, ვინაიდან ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციათა გაცემის წესი განსაზღვრულია მხოლოდ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მიხედვით.

ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვა არ ეხება ჩამონათვალში აღნიშნულ საკითხებს. ეს არის სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, რომელიც ეხება სასამართლოსა და პარლამენტის გადაწყვეტილებას და არა ადვოკატის ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევას.

შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა არ შედის ადვოკატთა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

გადაწყვეტილება:

რეკომენდაციის გაცემა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სავალდებულო ძალის შესახებ არ შედის ადვოკატთა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, ეთიკის კომისია, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, არ გასცემს რეკომენდაციას აღნიშნულ საკითხზე.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.